

## რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

### სქესის და ასაკის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“*

*საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელია 18 წლის მამაკაცის (*შემდგომში განმაცხადებელი*) N9163/19 განცხადება, რომლის თანახმად, ლაუნჯ-ბარ „ბამბუსი“ (*შემდგომში მოპასუხე*) შესვლა მამაკაცებისათვის დასაშვებია 21 წლიდან, ხოლო ქალები ბარში 18 წლის ასაკიდან დაიშვებიან.

საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა მოპასუხისგან სამჯერ გამოითხოვა წერილობით ინფორმაცია, თუმცა, მოპასუხე მხარისათვის კორესპონდენციის ჩაბარება ყველა შემთხვევაში რთულდებოდა. გარდა ამისა, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ლაუნჯ-ბარ „ბამბუს“ მენეჯერს თ. ი.-ს ტელეფონის მეშვეობით რამდენჯერმე შეახსენა სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის მოწოდების ვალდებულების შესახებ. წერილობითი ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო, სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2019 წლის 1 ოქტომბერს ლაუნჯ-ბარ „ბამბუსი“ პირადად გაესაუბრა<sup>1</sup> ბარის ერთ-ერთ მესაკუთრეს - თეიმურაზ ქვარცხავას და მენეჯერს - თ. ი.-ს.

### 1. ფაქტობრივი გარემოებები

ლაუნჯ-ბარ „ბამბუსი“ არსებული პრაქტიკის თანახმად, დაწესებულებაში შესვლა მამაკაცებისათვის დასაშვებია 21 წლიდან, ხოლო ქალები ბარში 18 წლიდან დაიშვებიან. ამდენად, აღნიშნული პრაქტიკით 21 წლამდე მამაკაცებს ეზღუდებათ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. აღნიშნული შეზღუდვის შესახებ საჯაროდ არის მითითებული ვებ-

---

<sup>1</sup> 2019 წლის 1 ოქტომბერს, მეპატრონემ - თემურ ქვარცხავამ უარი განაცხადა გასაუბრების აუდიო-ჩაწერაზე, შესაბამისად, შედგა წერილობითი ოქმი, რომელსაც გაეცნენ და ჩაწერილი ინფორმაციის ნამდვილობა ხელმოწერით დაადასტურა ორივე გამოკითხულმა პირმა.

გვერდზე [www.swoop.ge](http://www.swoop.ge),<sup>2</sup> რომლითაც დაწესებულება საკუთარი სერვისის შესახებ საჯაროდ ავრცელებს ინფორმაციას.

აღნიშნული პრაქტიკის არსებობას ადასტურებს ლაუნჯ-ბარის ადმინისტრაციაც. მოპასუხე მხარის განმარტებით, ბიჭებისთვის დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვა 21 წლამდე, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ისინი ხშირად იმყოფებიან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, იქცევიან უხეშად, რის გამოც, დაწესებულების დაცვის თანამშრომლები ხშირად გამხდარან იძულებულნი, მათთვის ლაუნჯ-ბარის დატოვება მოეთხოვათ. მოპასუხის მითითებით, რამდენიმე წლის წინ, კონფლიქტის დარეგულირებისა და პრევენციის მიზნით, მათ საპატრულო პოლიციის გამოძახებაც მოუწიათ. როგორც მოპასუხე მითითებს, ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებული რეგულაციის დაწესებამდე თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა კონფლიქტი, რაც, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიჭების მიერ იყო ინიცირებული. მოპასუხე მხარემ ასევე აღნიშნა, რომ გოგონები უფრო მშვიდად არიან და კონფლიქტურ სიტუაციას არ ქმნიან; ხოლო რაც შეეხება ბიჭებს - 21 წლის შემდეგ, უფრო დაღვინებულები არიან და გააზრებულად იქცევიან.

მოპასუხე მხარემ ასევე განმარტა, რომ ბიჭებისათვის ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება ემსახურება კონფლიქტური სიტუაციების აცილებას და პრევენციულ პრაქტიკას წარმოადგენს. აღნიშნული პრაქტიკა დაწესებულებას ეხმარება, შექმნას სტუმრებისთვის უსაფრთხო გარემო, რაც პრიორიტეტულია, რადგან მათი სტუმრების უმრავლესობა გოგონები არიან. ამასთან, ასაკთან დაკავშირებით ხდება ლავირება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა, ლაუნჯის მომსახურებით 21 წლამდე ბიჭებმაც ისარგებლონ.

ამავე შეხვედრისას, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მოპასუხე მხარეს სთხოვა, წარმოედგინა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც 18-21 წლამდე ბიჭებისათვის შეზღუდვას აწესებდა, თუმცა, მოპასუხეს ამგვარი დოკუმენტი არ მოუწოდებია.

## 2. სამართლებრივი შეფასება

### 2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.<sup>3</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და

<sup>2</sup> 2019 წლის 23 დეკემბერს არსებული ინფორმაციით, ლაუნჯ-ბარ „ბამბუს“ მიერ, [swoop.ge](http://swoop.ge)-ზე საჯაროდ გაკეთებულია შვიდი სხვადასხვა სახის მოქმედი შეთავაზება, რომელშიც მითითებულია: „*მოქმედებს Face & Age კონტროლი (18+), (ბიჭები +21)*“; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PMrLXF>, ბოლოს ნანახია: 23/12/2019;

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1;

ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე. ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.<sup>4</sup>

## **2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაში ხელი შეეშალა განმცხადებელს**

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაში განმცხადებელს ხელი შეეშალა. საქართველოს კანონმდებლობა ცალკე არ გამოყოფს საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლებას, თუმცა ის უნდა მოვიაზროთ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ სფეროში.

კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას.<sup>5</sup> აღნიშნული უფლება იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი, გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვების ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარესამყაროსთან.<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის გარანტია, არ შემოიფარგლება მხოლოდ „შიდა წრით“, არამედ მოიცავს გარე სამყაროს ჩართულობას ამ

<sup>4</sup> ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, §60;

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 55;

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533, II, 3

სფეროში, კერძოდ, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისა უფლებას.<sup>7</sup>

ქალებისა და მამაკაცების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის 2004/113/EC დირექტივის მიხედვით, თანაბარი მოპყრობის ვალდებულება აკისრია საქონლისა და სერვისის მიმწოდებელს, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. 2004/113/EC დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლისა და სერვისის მიმწოდებელს, რა თქმა უნდა, აქვს ხელშეკრულების დადების თავისუფლება, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარი არ ეფუძნება მეორე მხარის სქესს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისთვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იმენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ პუნქტის „გ. დ“ ქვეპუნქტით დაზუსტებულია, რომ, თანაბარი მოპყრობის პრინციპი, ასევე ვრცელდება, საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, იგი შეიძლება შეიზღუდოს ისეთი იმპერატიული ნორმების საფუძველზე, როგორც არის თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელიც სარესტორნო მომსახურებას სთავაზობს ადამიანებს. შესაბამისად, ზემოთ მითითებული საკანონმდებლო ნორმების თანახმად, მას არ აქვს თავისუფლება, კონკრეტულ პირთა ჯგუფს მომსახურებაზე უარი, რაიმე ნიშნის მიხედვით დაუსაბუთებლად უთხრას.

როგორც განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, ლაუნჯ-ბარ „ბამბუში“ დაწესებულია ასაკობრივი და გენდერული შეზღუდვა, რომლითაც მოპასუხე მხარემ საჯაროდ შეთავაზებული საქონელი და მომსახურება ხელმიუწვდომელი გახადა განმცხადებლისა და სხვა პირებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ 18-21 წლამდე მამაკაცებს და პოტენციურად შესაძლოა ლაუნჯ-ბარის მომხმარებლები ყოფილიყვნენ. შესაბამისად, სახეზე არის კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა.

## **2.1. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა**

<sup>7</sup> ECtHR, *Niemietz v. Germany*, no. 13710/88, 16/12/1992, § 29

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.<sup>8</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.<sup>9</sup> ამასთან, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.<sup>10</sup> სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელია, განსხვავებული მოპყრობა ხდებოდეს რომელიმე მახასიათებლის ან სტატუსის გამო.<sup>11</sup>

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, 18-21 წლამდე ასაკის მამაკაცებს ორი კატეგორიის შესადარებელი სუბიექტი (*კომპარატორი*) ჰყავთ - კერძოდ, ისინი არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულები:

1. 18-21 წლამდე ქალებთან შედარებით, სქესის გამო, ვინაიდან 18 წლის ზემოთ გოგონები დაიშვებიან დაწესებულებაში, 21 წლამდე ბიჭები კი - არა;
2. 21 წელს ზემოთ მამაკაცებთან შედარებით, ასაკის გამო, ვინაიდან მათთვის მომსახურებაზე უარის თქმას განაპირობებს 21 წლის ასაკს მიუღწევლობა.

## **2.2. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.<sup>12</sup>

<sup>8</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1;

<sup>9</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19;

<sup>10</sup> ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic [GC]*, no. 57325/00, 13/11/2007, § 175;

<sup>11</sup> ECtHR, *Guberina v. Croatia*, no. 23682/13, 12/09/2016, § 68; *Eweida and Others v. the United Kingdom*, no. 48420/10, 15/01/2013, § 86;

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15;

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარემ სქესისა და ასაკის ნიშნით დადგენილი შეზღუდვის გამართლების საფუძვლად წარმოადგინა ლაუნჯ-ბარ „ბამბუს“ სტუმრებისთვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, უსაფრთხო გარემოს შექმნა და კონფლიქტების პრევენცია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული მიზანი - კონფლიქტის აცილება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაწესებულებაში, ლეგიტიმურია. შესაბამისად, ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში, შემდეგ ეტაპზე, სახალხო დამცველი შეაფასებს, იყო თუ არა გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის მიღწევის სათანადო, აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის გამართლებისათვის, განსხვავება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურ გარემოებებს.<sup>14</sup>

განსახილველ საქმეში, მოპასუხე მხარემ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოიყენა ისეთი საშუალება, როგორც არის მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებისათვის - მამაკაცებისათვის ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება. 18-21 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის, დაწესებულების მიერ მომსახურებაზე უარს განაპირობებს დაწესებულების აღქმა, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები იღებენ იმ რაოდენობის სასმელს, რომ ხშირად არიან ალკოჰოლური თრობის ქვეშ, არ იქცევიან გააზრებულად, ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს და მხოლოდ 21 წლის შემდეგ არიან ჩამოყალიბებულები. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაწესებულების ამგვარი მიდგომა არის სუბიექტური მოსაზრებებით განპირობებული და არ აქვს არანაირი ობიექტურად დადგენილი საფუძველი, გარდა კონკრეტული ასაკის ადამიანების განვითარებას, ჩამოყალიბებასა და ქცევებთან დაკავშირებული სტერეოტიპული და მცდარი შეხედულებებისა.

მოპასუხე მხარეს, რომელზეც მთლიანად იყო გადასული იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განუხორციელებია, სახალხო დამცველისათვის არ წარმოუდგენია წონადი და სანდო მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ლაუნჯ-ბარში ასაკობრივი შეზღუდვის დაწესებამდე ისეთი სიხშირით ხდებოდა კონფლიქტები, რომ ამგვარი შეზღუდვა აუცილებელ გახდა. ამასთან, მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომ შეზღუდვის დაწესების შემდეგ კონფლიქტური სიტუაციები არსებითად შემცირდა. სახალხო დამცველისათვის ასევე, ბუნდოვანია ზოგადად მოწოდებული ინფორმაცია, რომ კონფლიქტს მხოლოდ 18-21 წლამდე მამაკაცები იწვევდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაწესებულებაში რეალურად იქმნებოდა კონფლიქტური სიტუაციები, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარეს უნდა მოეძებნა ისეთი ალტერნატიული საშუალება, რომელიც

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23;

<sup>14</sup> CJEU, *Maurice Leone and Blandine Leone v. Garde des Sceaux, ministre de la Justice and Caisse nationale de retraite des agents des collectivités locales*, C-173/13, 2014, §79;

18-21 წლამდე მამაკაცების ჯგუფს სრულად არ გამოორიგხვდა მომსახურებით მოსარგებლეთა წრიდან და არ მოახდენდა ამ ჯგუფის უფლებებში ინტენსიურ ჩარევას. მართალია, მოპასუხემ განმარტა, რომ ასაკთან დაკავშირებით ხდება ლავირება და, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, 21 წლამდე მამაკაცებმაც ისარგებლონ მომსახურებით, თუმცა, პირდაპირი შეზღუდვა მითითებულია საჯაროდ გაკეთებულ შეთავაზებებში, რაც, ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ლავირების შესაძლებლობას ეჭვქვეშ აყენებს.

დაწესებულებაში არსებული გენდერული და ასაკობრივი შეზღუდვის პრაქტიკა არის ბლანკეტური და სრულწლოვან პირთა გარკვეულ ჯგუფს (18-21 წლამდე მამაკაცებს) გაუმართლებლად უზღუდავს საჯაროდ შეთავაზებულ სერვისზე ხელმისაწვდომობას მათი სქესისა და ასაკის გამო. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი/არმყოფი ნებისმიერი პირი - ქალი თუ მამაკაცი, ასაკის მიუხედავად, პოტენციურად, ნებისმიერ დროს შესაძლოა იყოს კონფლიქტის გამომწვევი, მოპასუხე მხარის მიერ, 18-21 წლამდე მამაკაცებზე გათვლილი, **გენდერული და ასაკობრივი შეზღუდვა ვერ იქნება მიჩნეული დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და კონფლიქტის პრევენციის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად.**

აღსანიშნავია, რომ სქესისა და ასაკის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად განსაკუთრებით წონადი არგუმენტები უნდა იყო წარმოდგენილი,<sup>15</sup> რაც მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარემ ვერ უზრუნველყო. შესაბამისად, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შპს „გაგრა 91“ - ლაუნჯ ბარ „ბამბუს“ მიერ, **18-21 წლამდე მამაკაცებისათვის დაწესებული შეზღუდვა, წარმოადგენს სქესისა და ასაკის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას.**

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი, მიმართავს შპს „გაგრა 91“ - ლაუნჯ ბარ „ბამბუს“ რეკომენდაციით, რომ:

- უზრუნველყოს მის მიერ საჯაროდ შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობა თანასწორობის პრინციპის დაცვით და გააუქმოს ლაუნჯ-ბარ „ბამბუსში“ 18-21 წლამდე ბიჭებისათვის დაწესებული შეზღუდვა; ამ მიზნით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ონლაინ განცხადებებში და კომპანიის შესაბამის რეგულაციაში/შინაგანაწესში, არსებობის შემთხვევაში.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

<sup>15</sup> CJEU, Mario Vital Pérez v Ayuntamiento de Oviedo , C-416/13, 2014, § 46; CJEU, Maurice Leone and Blandine Leone v. Garde des Sceaux, ministre de la Justice and Caisse nationale de retraite des agents des collectivités locales, C-173/13, 2014, §79.